



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია

ქუთაისი

2011

პროგრამის სახელწოდება: ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის მაგისტრი ევროპისა და ამერიკის

ახალ და უახლეს ისტორიაში

MA in European and American Modern History

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ისტორიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი ნ.მუშკუდიანი,

ტელ: 8 (241) 2 09-97 ,599622689

e-mail: nmucshkudiani@yahoo.de

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული.

სამაგისტრო პროგრამის მიზანი:

ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით მაგისტრების მომზადება. მაგისტრანტები შეისწავლიან სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრეს მომენტებს, შეიძინენ და განავითარებენ დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ასევე პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე.

დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებულს შეუძლია სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, კულტურის დაწესებულებებში, არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო მმართველობით და თვითმმართველობით ორგანოებში, სხვადასხვა სახის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობა.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში.
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
3. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

სწავლის შედეგები:

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრატურის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება:

ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ახალი და უახლესი ისტორიის უმთავრესი პრობლემების, ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრესი მომენტების შესახებ; საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ახალი იდეის სახით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

განსაზღვრავს შესაბამისი კომპეტენციის დონეზე კვლევის მეთოდებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს, აფასებს ისტორიულ პროცესს ობიექტურად და კომპლექსურად; ადგენს თვისებრივად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს; შეუძლია ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირება; კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში.

დასკვნის უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემის განზოგადება და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ის აფასებს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს; ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს.

კომუნიკაციის უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენაზე; მაგისტრი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს და ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარს.

სწავლის უნარი:

მაგისტრანტი დამოუკიდებლად იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ბაზას. მას შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები.

ღირებულებები:

მაგისტრი იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; გამორჩეულად იცნობს და აფასებს დასავლურ ღირებულებებს, დემოკრატიას, ლიბერალიზმს, პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, თანამონაწილეს საკუთარ გარემოში მათი დამკვიდრების პროცესში..

სწავლის/სწავლების შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები:

ლექცია, პრეზენტაცია, ახალი სპეციალური ლიტერატურის განხილვა, სამაგისტრო ნაშრომების შესრულება და დაცვა.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი:

მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

წერთი მუშაობის მეთოდი:

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება;

დისკუსია/დებატები:

დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას.ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

(დაწვრილებით იხ.სილაბუსებში)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ./ჯგ.მუშ./დამ . მუშ.	კრედიტი	სემესტრი				
					I	II	III	IV	
1.	ახალი ისტორიის პრობლემური საკითხები I	3	24.12.89	5	5				
2.	ახალი ისტორიის პრობლემური საკითხები II	3	24.12.89	5	5				
3.	ისტორიის ფილოსოფია	2	14.10.101	5	5				
4.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია I	2	10.14.101	5	5				
5.	სამეცნიერო წერის საფუძვლები	2	8.16.101	5	5				
6.	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები I	3	30.15.80	5		5			
7.	გერმანიის ისტორია XX საუკუნეში	3	30.15.80	5		5			
8.	რუსეთის ისტორია XX საუკუნეში	3	30.15.80	5		5			
9.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია II	3	30.15.80	5		5			
10.	საკურსო ნაშრომი			5		5			
11.	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები II	3	30.15.80	5			5		
12.	აშშ-ის ისტორია XX საუკუნეში	3	30.15.80	5			5		
13.	ნაციონალიზმი და გლობალიზაცია	3	30.15.80	5			5		
14.	საფრანგეთი XX საუკუნეში	3	30.15.80	5			5		
15.	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები III	3	30.15.80	5			5		
16.	სამაგისტრო შრომა			30				30	
არჩევითი საგნები									
1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინტერნეტი	3	24.12.89	5	5				
1.2	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა								
1.3	უცხო ენა I						0.45.80		
2.1	საქ. ისტ. პრობლემური საკითხები	3	30.15.80	5	5				
2.2	თურქეთი XX საუკუნეში								
2.3	უცხო ენა II						0.45.80		
3.1	რელიგიური კონფლიქტები	3	30.15.80	5					
3.2	ლოგიკა							5	
3.3	მსოფლიო (ახალი და უახლესი) ისტორიოგრაფია								
სულ			410.319.1686	120	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში;
 ლ./ჯგ.მუშ./დამ. მუშ. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ დამოუკიდებელი მუშაობა.
 5 კრედიტი - 125 საათი.
 პროგრამის სავალდებულო კურსები - 70 კრედიტი;
 პროგრამის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი I - III სემესტრებში სტუდენტებმა არჩევითი
 კურსების თითოეული ბლოკიდან უნდა აირჩიოს ერთი საგანი ე.ი უნდა აითვისოს 5
 კრედიტი;
 საკურსო ნაშრომი 5 კრედიტი - 125 საათი.
 სამაგისტრო შრომა - 30 კრედიტი. - 750 საათი.

კომპეტენციების ცხრილი

№	საგნის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	ახალი ისტორიის პრობლემური საკითხები I	X	X	X	X	X	X
	ახალი ისტორიის პრობლემური საკითხები II	X	X			X	X
	ისტორიის ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია I	X	X	X	X	X	
	სამეცნიერო წერის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები I	X		X	X	X	
	გერმანიის ისტორია XX საუკუნეში	X		X	X	X	
	რუსეთის ისტორია XX საუკუნეში	X	X			X	X
	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია II	X	X	X	X	X	
	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები II	X	X	X	X	X	
	აშშ ისტორია XX საუკუნეში	X	X	X	X	X	X
	ნაციონალიზმი და გლობალიზაცია	X				X	X
	საფრანგეთი XX საუკუნეში	X			X		
	უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები III	X					X
	კომპ. ტექნოლოგიები და ინტერნეტი	X	X	X	X	X	X
	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა	X	X			X	X
	უცხო ენა I	X	X		X	X	
	საქ. ისტ. პრობლემური საკითხები	X					
	თურქეთი XIX-XX საუკუნეებში	X		X			
	უცხო ენა II	X	X		X	X	
	რელიგიური კონფლიქტები	X	X	X			X
	ლოგიკა	X	X	X	X	X	X
	მსოფლიო (ახალი და უახლესი) ისტორიოგრაფია	X			X		